ხაშურის მოამბე

№35 (236) 17 სექტემბერი, სამშაბათი, 2019 წელი

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლებში სასწავლო წელი დაიწყო. ზეიმით შეეგებნენ სკოლები მოსწავლეებს. იწყება შეუცნობლის შეცნობის გზების ძიება, იწყება ან გრძელდება ბილიკი, რომელსაც განათლებული ხალხის ქვეყნის მართვაში მოსვლა ჰქვია. ვულოცავთ ყველას ამ დღეს - პედაგოგებს, მოსწავლეებს, ახალწვეულებს, მშობლებს და ვუსურვებთ, რომ მთელი სასწავლო წელი ისეთივე ზეიმი ყოფილიყოს მათთვის, როგორც გუშინდელი დღე იყო.

მთავრობის ახალი მეთაური გუბერნატორებს შეხვდა

რეგიონებში, ჩვენი მოქალაქეებისთვის მთავრობის განსახიერება არის ის ჩინოვნიკი, რომელიც მათ პრობლემებს ან აგვარებს, ან - ვერა და ამ მიმართულებით გუბერნატორების პასუხისმგებლობა სრულად პერსონალიზებული იქნება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ სახელმწიფო რწმუნებულებთან შეხვედრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა პრობლემების მოკლე ვადებში მოგვარების აუცილებლობას და გუბერნატორებს დროში გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმის უახლოეს პერიოდში წარმოდგენა დაავალა.

„აუცილებელია, ვიმოქმედოთ სწრაფად, ეფექტიანად და რაც მთავარია, ეს ყველაფერი უნდა იყოს გამყარებული კეთილსინდისიერი ქმედებით. არავის აქვს იმის რესურსი, რომ კიდევ დიდხანს გველოდოს. ამიტომ, განსაკუთრებით თქვენს შემთხვევაში, პასუხისმგებლობა სრულად პერსონალიზებული იქნება. უახლოეს დღეებში უნდა განსაზღვროთ რეგიონებში არსებული სისტემური პრობლემების სტატუსი და წარმოადგინოთ კონკრეტული გაპრობლემებული საქმეები, შემდგომ კი - პირდაპირი, დროში გაწერილი გეგმა და კონკრეტული პასუხისმგებლობები. თქვენი ძირითადი ამოცანაა პრობლემების მოგვარება და არა - პრობლემების შექმნა“, - მიმართა პრემიერ-მინისტრმა გუბერნატორებს.

სურამს განაშენიანების გენერალური გეგმა ექნება

მთავრობის სხდომაზე გამოტანილ საკითხებს შორის ერთ-ერთი თემა დაბა სურამის გენგეგმის შემუშავება იყო. როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა აღნიშნა, სივრცითი მოწყობის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს ტურისტულად მნიშვნელოვანი, პოტენციურად საინტერესო ლოკაციების სივრცითი მოწყობის გეგმებს, რაც გულისხმობს ამ ტერიტორიებისთვის ახალი ფუნქციების მოძიებასა და არსებული ფუნქციების აღდგენას.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანია მათ ტერიტორიებზე განაშენიანების ის-

ეთი სახის რეგულირებისთვის, რომელიც მოსახლეობას საშუალებას მისცემს, რომ იქ სრულფასოვანი საერთაშორისო სტანდარტების მქონე კურორტები ჩამოყალიბდეს. ამასთან, განვითრების გეგმების შესაბამისად სამინისტრო დონორების დახმარებით და სახელმწიფო ბიუჯეტით უკვე ახორციელებს იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ დასახლებისთვის ასეთი სახის კურორტად ჩამოყალიბებისთვის“-აღნიშნა მაია ცქიტიშვილმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დაბა სურამის საკურორტო ფუნქციის განვითარების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი გეგმების შესამუშავებლად საპროექტო მომსახურების მიმწოდებლის შესარჩევ კონკურსს აცხადებს.

ამის შესახებ განკარგულება საქართველოს მთავრობამ გამოსცა, საფუძველი კი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის წერილობითი თხოვნა გახდა.

დასაგეგმარებელი ტერიტორიის საორიენტაციო საზღვრებში, კონკურსში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება მოამზადოს დაბა სურამის გენერალური და ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმების პროექტები, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

1948 წელს სურამი რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა. უნიკალური ბუნებრივი კლიმატი, მისი გეოგრაფიული მდებარეობა დაბას ადვილად მისადგომს ხდის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთათვის. სურამში ბევრი კულტურული ძეგლია, რომელიც ტურისტებისთვისაა საინტერესო.

რადგან სურამს არ გააჩნია გენერალური გეგმა, არსებობს საფრთხე, რომ ტურისტების გაზრდილი რაოდენობის ფონზე აქტიური სამშენებლო საქმიანობები, უსისტემო განაშენიანება ზიანს მიაყენებს დაბას. ამიტომ, დღის წესრიგში დადგა მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების აუცილებლობა. კურორტის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასევე, მნიშვნელოვანია მოხდეს ცენტრის ფუნქციის მატარებელი საზოგადოებრივი სივრცის განსაზღვრა და დაგეგმარება.

განაშენიანების გეგმების შემუშავებისას პრიორიტეტულად გასათვალისწინებელი საკითხებია - კურორტის ბუნებრივი პირობებისა და მინერალური წყლების გონივრულად გამოყენება, სურამის საბავშვო კურორტის ფუნქციის აღორძინება, ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ცენტრის კომპლექსურად მოწესრიგება, არქიტექტურულ-ესთეტიკური იერ-სახის გაუმჯობესება, ქაოსური სამშენებლო სამუშაოების წარმოების რისკის შემცირება, ებრაელთა უბნისა და სინაგოგის არსებული ვითარებისა და შესაძლებლობების ანალიზი, სურამის რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქცია, ე. წ. ბრაუნფილდის - არსებული და მიტოვებული სამრეწველო ობიექტების პერსპექტივის განსაზღვრა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება # 81

2019 წლის 3 სექტემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების წლიური სამუშაო გეგმები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა საკრებულოს მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებას.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად. (დანართი თან ერთვის 1 ფურცლად);

2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე
მიხეილ ჯანაშვილი

				დანართი
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა				
N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების დასახელება	განხილვის დრო	მომხსენებელი	პასუხისმგებელი საკითხის მომზადებაზე
1	2	3	4	5
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2019 წლის სამ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ	ოქტომბერი	მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ანგარიში 2019 წლის 10 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ	ნოემბერი	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წლის 11 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ	დეკემბერი	მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია

ა(ა)იპ "ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" 2019 წლის 8 თვის შესრულებული სამუშაოს ანგარიში

აიპ “ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი” დაფუძნდა 2010წლის 24 დეკემერს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №163 განკარგულების საფუძველზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №113 განკარგულებიდან გამომდინარე, დაევალა ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2019წლის მუნიციპალური პროგრამის განხორციელება.

კერძოდ:

მუხლი 2. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

მუხლი 3. პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებები;

მუხლი 4. მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ღონისძიებები

მუხლი 5. მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობის ღონისძიებები

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის 2019 წლის პროგრამით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, შემოწმებული იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის სანიტარულ–ჰიგიენური და სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა, რაცდამაკმაყოფილებელია და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აღნიშნულ პერიოდში, ეპიდსიტუაცია დამაკმაყოფილებელია. დაფიქსირდა შემდეგი ინფექციები: ყივანახველა-1 (2018-5), წითელა—22(5), ჰეპატიტი „ბ”- 17 (8) (6 ორსული), ჰეპატიტი „ც”-59 2 ორსული(45) ჩუტყვავილა-82(232), ბრუცელოზი—1 (3), სავარაუდო დიარეული დაავადება-74 (186) ჰემორაგიული ეშერიხია 2 ლაბ. დასაბუთებული-სურამი, ტუბერკულოზი16(18) მ.შ. 12- +. ყველა შემთხვევა შეტანილია “დეიზის” სპეციალურ ბაზაში. ჩატარებულია ეპიდემიოლოგიური კვლევები ბრძანება №55/ო-ს შესაბამისად. კვლავ მომატებულია „ც” ჰეპატიტის შემთხვევების რაოდენობა, რაც ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამით ჩატარებული სკრინინგული კვლევების შედეგია. სულ რაიონში, გამოკვლეული, ამ პერიოდში, 1494 პიროვნება (28 დაინფიცირებული), მათ შორის, ცენტრის სკრინინგი ჩაუტარდა 65 პიროვნებას, დადებითი შედეგი არ გამოვლინებულა, დაავადებათა კონტროლის მიერ მოწოდებული იქნა 82 პაციენტი, რომელთაც გამოვლენი ჰქონდა ც ჰეპატიტი და სამკურნალოდ არ გამოცხადდა. მათგან მოძიებული იქნა 80% და გაგზავნილი იქნა შემდგომ მკურნალობაზე. იგეგმება სამი დაავადების ც ჰეპატიტის, შიდსის და ტუბერკულოზის პილოტური კვლევების ჩატარება მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რომელიც დაფინანსდება მერიის მიერ.

ჰელმინთოზების გამოვლენის მიზნით, გამოკვლეული იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა ბაღის 1111 (2018წ-845) აღსაზრდელი. ინვაზირებული აღმოჩნდა 107(89) (76-ენტერებიუსით, 31 ასკარიდოზით). ინვაზირებულ პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებს ჩაუტარდათ ექიმ პარაზიტოლოგის კონსულტაცია და დაენიშნათ მკურნალობა, გაიცა მედიკამენტები უსასყიდლოდ (მებენდაზოლი).

ცხოველების მიერ დაზარალებულ პირთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 533. მ.შ. 350-პატრონიანი და 183--მოხეტიალე ცხოველით. ყველა მათგანს ჩაუტარდა ანტირაბიული აცრების შესაბამისი კურსი. გაიხარჯა 1495 (2018წ-1549) დოზა ვაქცინა და 69 (2018წ-64) იმუნოგლობულინი (37 დაზარალებულზე). ყველა შემთხვევა ეცნობა სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ადგილობრივ სამსახურს ცხოველებში ეპიდკვლევების ჩასატარებლად. საანგარიშო პერიოდში, ანტირაბიული კაბინეტი მომარაგებული იყო ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის საკმარისი რაოდენობით.

2019 წლის ამ პერიოდში, რაიონის ტერიტორიაზე ვაქცინაცია მიმდინარეობდა “ცივი ჯაჭვის” წესების სრული დაცვით. მოცვის მაჩვენებლები შემდეგია: წწყ-1 (1წლ.)—77%; წწყ-2—63%; ჰექსა—63% პოლიო5-59%; დტ-5—60%; ტდ-14---43%; ბ ჰეპატიტის—39%; ბცჟ—40% (შემცირდა შობადობის გადინების ხარჯზე) გრძელდება წითელას საწინააღმდეგო კამპანია, არაგეგმიურად აიცრა---1431 პიროვნება, შემოტანილია ვაქცინების საჭირო მარაგი. სექტემბრის თვიდან იწყება პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია (9-13წ.წ.გოგონებში). ასევე ყოველწლიურად ოქტომბრის თვიდან იგეგმება რისკ ჯგუფების გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, დაზუსტდა რისკ ჯგუფების სავარაუდო რაოდენობა.

მონიტორინგი ჩაუტარდა ყველა სოფლის ამბულატორიას, ადგილზე შესწავლილი იქნა ეპიდსიტუაცია და ვაქცინაციის მიმდინარეობა. ჩატარებული ტრენინგებისა და შეხვედრების შედეგად, მედპერსონალთან და მშობლებთან, ვაქცინაციის მოცვის მაჩვენებლები გაუმჯობესდა.

„ც“ ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოფუნქციონირე სალონებში ჩატარდა მონიტორინგი (30 სალონი), გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით მიეცათ რეკომენდაციები და გარკვეული დრო გამოსასწორებლად.

მიმდინარეობს მონიტორინგი თამბაქოს კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით. შემოწმდა 7 სამედიცინო დაწესებულება, 2 –კაფე-რესტორანი, 16– სავაჭრო ობიექტი, 15 – ავტოტრანსპორტი, 5 – სილამაზის სალონი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასთან დაკავშირებით სან. განათლებითი ლექცია-სემინარები, საჯარო სკოლების ლიდერებთან „ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე”, 29 მარტი „საქართველო თამბაქოს გარეშე”. 22-28 აპრილი, მსოფლიო იმუნიზაციის კვირეული”(შეხვედრა სკოლის პერსონალთან, სამედიცინო პერსონალთან).

დ. ჩიქოვანი,
ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

ვახუშტი ბატონიშვილი ორ წრომს იცნობს. აქედან ერთი წრომი, ჩვენი აზრით, დღევანდელი ნადარბაზევი უნდა იყოს. ორ წრომს აფიქსირებს იოანე ბატონიშვილიც. მის „აღწერაში“ აქ მოსახლეობა არ ჩანს. ვფიქრობთ, რაც შედეგი უნდა იყოს ლეკთა გამუდმებული თავდასხმებისა. აქვე უნდა შევნიშნოთ ის გარემოებაც, რომ იოანე ბატონიშვილის „აღწერა“ ამა თუ იმ სოფელში მოსახლეობის დაფიქსირების თვალსაზრისით, მთლად სანდო არ უნდა იყოს. წრომში, როგორც ზემოთ იყო აღვნიშნეთ, მოსახლეობის ხელმეორედ დასახლება XVIII ს-ის 60-70-იანი წლებიდან იწყება. იგივე შენიშვნა შეიძლება ითქვას სხვა დასახლებულ პუნქტებზეც, თუმცა, ეს ლეკიანობით გამოწვეულ მძიმე შედეგებს სრულებითაც არ ცვლის.

1865 წლის აღწერითაც ორი წრომია: ქვემო და ზემო. ზემო წრომში 26 კომლი გლეხი სახლობს (16 სახელმწიფო და 10 დროებით ვალდებული), ხოლო ქვემო წრომში – 19 კომლი (3 სახელმწიფო და 19 დროებით ვალდებული).

1886 წლის აღწერით, წრომში 54 კომლია (229კაცი და 169 ქალი, სულ 388 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით მთლიანად ქართულია.

აქ სახლობენ გვარები: ბაყაშვილი, ბერიძე, გოგალაძე, გრიგალაშვილი, იკოშვილი, კაპანაძე, ლაქოშვილი, ლომიძე, მაისურაძე, მიქელაშვილი, მურჯიკნელი, სარალიძე, სულეიმანაშვილი, ტალახაძე, ქოქოშვილი, ქურდაძე, ღვინიაშვილი, შუბითიძე, ჩუბინიძე, ჩუტკერაშვილი, ციცქიშვილი, ძულიაშვილი, წიქარიშვილი, ხაჩიძე...

წრომში რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლია, კერძოდ, ნამოსახლარები, რომლებიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდებიან. აქვეა აღმოჩენილი სამეთუნეო სახელოსნოც, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება. აღმოჩენილია სამეთუნეო ქურის ნაშთი, ნახშირის გროვები და წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. სერიოზულ არქეოლოგიურ გათხრებს წრომში ადგილი არ ჰქონია.

წრომში, როგორც აღვნიშნეთ, მდებარეობს შესანიშნავი ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომელიც მაცხოვრის სახელზეა აგებული და თარიღდება 626-634(35) წლებით.

მოსახლეობაში გავრცელებული ლეგენდის თანახმად, თამარ მეფეს ჰყავდა ძმა, რომელსაც დაეინიძლავა: ასეთსა და ასეთ ეკლესიას ჩემი ხელით ავაშენებო.

ძმამ კი უთხრა: – მე ამ მთიდან, – თრიალეთის მთისკენ გაიშვირა ხელი, – წყალს გადმოვაგდებო და მთელ ამ ურწყავ ველ-მინდვრებს სულ მოვარწყვევინებო.

შეთანხმდნენ. თამარ მეფემ დაიწყო ეკლესიის აშენება. მისი ძმა კი წავიდა წყლის გადმოსაგდებად.

ერთი კვირა ჯერ არ იყო გასული, რომ ძმამ იფიქრა, მოდი, ჩემს დას მოვატყუებო. მოპარვით აიტანა რამდენიმე ლურჯი ტილო, გადააბა ზედიზედ და იმ მთის კალთაზე გადმოფინა.

თამარს ეკლესიის ძირის კედლები უკვე ამოყვანილი ჰქონდა. თვითონ კი მაღლა იდგა ხარაჩოებზე. თავისი ბავშვი აკვნიანად თანა ჰყავდა. ერთი ხელით კედელი ამოჰყავდა, მეორეთი აკვანს არწევდა.

გაიხედა და დაინახა, რომ მთის ფერდობზე ლურჯად რაღაც მოჩანს. იფიქრა: ე, ჩემმა ძმამ მაჯობა და წყალი უკვე გადმოუშვაო.

ეწყინა თამარს, ხელი აუკანკალდა, აკვანი გადმოუვარდა და ბავშვი დაეღუპა, მაშინ დასწყევლა თამარმა ეს ეკლესია: შენამც მოგწევია წყრომიო.

ამის შემდეგ იმ ეკლესიას წრომის ეკლესია დაერქვა, იმ ხეობას კი – ძამის ხეობა.

წრომ–ი (წრომისაი) ფრინველის სახელიცაა და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის” მიხედვით, „იგივეა რაც ჭოტი”.

მკვლევარი გ. ბედოშვილი წრომთან დაკავშირებეით აღნიშნავს: „არანაკლებ საინტერესოა ამ უძველესი გეოგრაფიული სახელწოდების წარმოშობის საკითხი. ერთი შეხედვით, იგი ისეთივე -ომ სუფიქსიანი ტოპონიმი ჩანს, როგორიცაა: **ბათ-ომ-ი, თორთ-ომ-ი, ბორჯ-ომ-ი, ღორჯ-ომ-ი, დიღ-ომ-ი, ღრ-ომ-ი**... მაგრამ ჩვენ არა ვიცით, რა შინაარსისაა წრ- ძირი. შესაძლებელია იგი ამოსავალში შეიცავდა რომელიმე ხმოვანს (**წერ-, წარ-, წირ-** ...), მაგრამ იგი ჩავარდნილი უნდა იყოს მომდევნო **ო** ხმოვნის გავლენით. მაშასადამე, შეიძლება აღვადგინოთ ტოპონიმ წრომის სავარაუდო ფორმები: **წირ-ომ-ი, წერ-ომ-ი** ან **წარ-ომ-ი**. ამათგან უპირატესობა ალბათ, პირველ ორს უნდა მივანიჭოთ. მაშასადამე, **წრ-ომ-ი** უნდა გავიგოთ როგორც:

ა) **(მ)წირ-ობ-ი** „მწირი, უნაყოფო მიწა“.

ბ) **წირ-ობ-ი** „წირის შემცველი ქანები“.

არანაკლებ მოსალოდნელია სავარაუდო **წერ**-სიტყვა, რომელიც ქართლურსავე ტოპონიმებში დასტურდება: **წერ-ეთ-ი** (სოფელი გორის რაიონში), **წერ-ოვან-ი** (სოფელი მცხეთის რაიონში). წერ-ონ-ის-ი (სოფელი ქარელის რაიონში)... აქედან გამომდინარე **წერ-ომ-ი** შეიძლება, გავიაზროთ როგორც **წერ-ობ-ი**: „წერის შემცველი ადგილები“, „ადგილი, სადაც გამოედინება შავი ფერის სითხე, ნავთობიანი მინერალი“. სხვათაშორის **წარ-ომ-** ფორმის **წარ-** ფუძეც შეიძლება იმავე **წერ-** სიტყვის მონათესავე წარნაქ- ფუძეს დავუკავშიროთ. **წარნაქი** ეწოდება მოყვითალო ფერის საღებავ მიწას, რომელსაც მეთუნეობაში იყენებენ (უსვამენ თიხის ჭურჭელს, გამოწვაში წითლდება). ასე რომ **წრომ-ი (წერ-ომ-ი, წირ-ომ-ი)**, შეიძლება **წერ-ეთ-, წერ-ოვან-** სახელთა მონათესავე ერთეულად ვცნოთ“.

მკვლევარი ეხება აღნიშნული ტოპონიმის ფრინველის სახელწოდებიდან - წრომიდან წარმოშობის საკითხსაც და მიუთითებს: „ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებულია ვერსია, რომლის მიხედვითაც, სახელწოდება **წრომი** თითქოს ამ მიდამოებში **წრომის** (ჭოტის) სიმრავლის გამო იყოს წარმოქმნილი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადგილთა სახელები, მითუმეტეს, დასახლებული ობიექტების, ფრინველთა სახელებისაგან გაუფორმებლათ, ე.ი. თავსართ-ბოლოსართების დაურთვლად, სუფთა ფუძით არ წარმოიქმნებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოფლის სახელად არ შეიძლება, გვქონდეს: წერო, ქორი, ქათამი, კაკაბი, როჭო, შაშვი, ჩხიკვი, ჭოტი და სხვა. ეს სახელები ტოპონიმებად რომ იქცნენ, ისინი სხვადასხვა მორფოლოგიურ სართებს საჭიროებენ: სა-ქორ-ე, ჩხიკვ-თა, სა-ქათმ-ია, კაკაბ-ეთ-ი და სხვ. ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ფრინველის სახელისგან რომ იყოს წარმომდგარი, მაშინ წრომის ნაცვლად **სა-წრომ-ე, წრომ-თა, წრომ-ეთ-ი** ან ამის მსგავის რაღაც უნდა გვქონდეს“.

პროფ. გ. ყორანაშვილი ვარაუდობს წრომის წარმოშობას ფრინველის სახელწოდებიდან- „რწომიდან“.

ჭანკოტაძეები – ნასოფლარი მდ. ტილიანას აუზში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთის წინეთში. მდებარეობს ოსიაურის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ მხარეში ასეთი სახელწოდების სოფელს არ იცნობენ. არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტებში გვხვდება.

1933 წლისათვის ჭანკოტაძეებში ცხოვრობდა 23 კომლი. აქ სახლობდნენ გვარები: ჭანკოტაძე, კუხიანიძე, მახათაძე, ნოზაძე, ზენაშვილი.

სოფელი მოიშალა XX-ს-ის 40-იან წლებში, როცა მოსახლეობა გადაასახლეს ახალციხის მხარეში.

სახელწოდება მომდინარეობს ამ სოფელში გავრცელებული ძირითადი გვარიდან - ჭანკოტაძე. ამდენად, სახელწოდება ანთროპონიმური წარმოშობისაა.

ჭომა - ნასოფლარი, მდებარეობდა სოფელ ხცისის დასავლეთით, იქ სადაც ჩამოედინება ჭომათ ღელე. მდებარეობს ხცისის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

დასტურდება ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში.

1619 წელს სუხანა გოგალაძემ არდაშელ ბუნიათიშვილს მისცა თავისი ნასყიდი მიწა ჭომაში: „... ჩვენ გოგალაძემ სუხანამა, მამუკამა, პაპუნამა, ძამუკამა, ივანამა, გოდერძამა, მჭედელმა გიორგიმ, ბერმა და შვილმა ჩემა მახარამა და ბერმა, თქვენ, ბუნიათიშვილს არდაშელს, შვილსა თქვენსა ბერუასა და ქრისტეფორეს მოგყიდე ჩემი ნასყიდი მიწა ჭომაში, განზე ზომით ოცდაშვიდი მხარი, ზეით გზამდე, ქვეით ბეჟანის მიწის მიდგმამდე, საზენაქროთ დემეტრას მიწის მიდგმამდი, საქვენაქროთ მაზმიშვილის მიწის მიდგმამდი...“

ციცი (ციციშვილსა) და მამუკა მაღრაძეს შორის სამამულო დავის გარიგების წიგნის (XVII ს-ის ბოლო) თანახმად, ჭომაში შემდეგი მამულები დარჩა მამუკას:

„ქ. რომ დავიფიცე, მე, მაღრაძე მამუკამა, ბიძის ჩემის ფიზის ნაქონი მამული, სასახლე მის ბოსტნითა, ერთ მისი სახასო ვენახითა, მისი სასაფლაოთი.

გძელის მიწა ერთი, მეცხორაულის მიწა ერთი ჭომაში.

პატარა მიწა ერთი, ურჯუმელაშვილის მამულითა.

გაბრიელა რისაც მქონებელი არის.

ქოქუაშვილი რისაც მქონებელი არის მისი მამულითა ვენახის გარდაის.

დაბრუნდაშვილის მამული, მისითა წყლითა, წისქვილითა, ბოსტნითა, სახლითა და სასაფლაოთი“.

ჭოშორა – ნასოფლარი ალის წყლის (ალის ფრონე, ჭერათხევი) აუზში, მარჯვენა მხარეს. მდებარეობს ალის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ასეთი სახელწოდების სოფელს არ იცნობენ. არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

აქ სახლობდნენ გვარები: ფოფხაძე, ხარაზიშვილი...

სოფელი მოიშალა XX-ს-ის 50-იან წლებში, როცა მოსახლეობა სურამში გადაასახლეს.

ჭოშორაში შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, რომელიც თარიღდება გვიანფეოდალური ხანით.

ხავლეთი – სოფელი, მდებარეობს თრიალეთის ქედის განშტოების – ყელეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. ზ. დ. 960 მ. ხაშურიდან დაშორებული 15კმ-ით. შედის წრომის სასოფლო საკრებულოს შემადგენლობაში.

დიდი და პატარა ხავლეთის ძველი სახელწოდება. პატარა ხავლეთი XX ს-ის 60-იან წლებში ჩაასახლეს სოფელ ხცისში.

ვახუშტი და იონე ბატონიშვილები ასეთი სახელწოდების სოფელს არ იცნობენ. იგი არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

1886 წლის აღწერით, აქ 43 კომლი მოსახლეა (175 კაცი და 144 ქალი, სულ 319 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, ქართულ-ოსურია. 25 კომლი (144კაცი და 81 ქალი) ქართველია, რომლებიც გადმოსულები არიან დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან, ხოლო 18 კომლი ოსია (61 კაცი და 53 ქალი).

დიდ ხავლეთში სახლობენ გვარები: ბაყაშვილი, გაგლოშვილი, გოგოლაძე, ლაქოშვილი, ხუბიაშვილი, ხუგაშვილი...

დიდ ხავლეთში შემორჩენილია ღვთისმშობლისა და წმ. მარინეს ეკლესიები, რომლებიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ხალები – სოფელი, მდებარეობს თრიალეთის ქედის განშტოების – ყელეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. ზ. დ. 960 მ. ხაშურიდან დაშორებულია 15 კმ-ით. სასოფლო საკრებულოს ცენტრია (დიდი ხალები, ალექსანდრესწყარო, პატარა ხალები, სარტყელა, ღართა, ღვრიაწყალი). დიდი და პატარა ხალების ძველი სახელწოდება.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ვახუშტი ბატონიშვილს ხალები დატანილი აქვს რუკაზე. იოანე ბატონიშვილი გვერდისძირის სოფლებში აფიქსირებს მას. ამ დროს აქ მოსახლეობა არ ჩანს.

ხალები მოიხსენიება 1664-1673 წლებით დათარიღებულ ციციშვილების განჩინებაში, რომელშიც აღნიშნულია: „მისცა ფარსადანს საუარესოთ ციცის და ქაიხოსროს ხალებს ზოსიმაშვილი ქურციკა, დღეს რისაც მამულის მქონე იყოს”.

1728 წელს ხალებში 20 კომლი მოსახლეა, რომლებიც იხდიან ყველა საოსმალო გადასახადს 9150 ახჩის ოდენობით.

1886 წლის აღწერით, დაფიქსირებულია ზემო და ქვემო ხალები. ქვემო ხალებში ცხოვრობს 22 კომლი (94 კაცი და 71 ქალი, სულ 165 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, აქ მთლიანად ოსური ეროვნების მოსახლეობაა. რაც შეეხება ზემო ხალებს, მის შესახებ აღნიშნულია, რომ ამ სოფლის მოსახლეობა გადასახლდა სხვა ადგილას, თუ სად, მითითებული არ არის.

ხალებში სახლობენ შემდეგი გვარები: ბიჭიკაშვილი, გასიშვილი, ელბაქიძე, თედეშვილი, ფილიშვილი, ქოზაშვილი, ქოქოშვილი... (დიდი ხალები), ბლიაძე, გრიგალაშვილი, ლურსმანაშვილი... (პატარა ხალები).

სოფლის სახელწოდება – ხალები, მცენარის - ხალისგან უნდა იყოს ნაწარმოები, ხალ-ებ-ი – ებ სუფიქსიანი ტოპონიმია. აქ ფუძეა - „ხალ”, „ი” - სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

დიდ ხალებში მდებარეობს მაცხოვრისა (განვითარებული ფეოდალური ხანა) და ქარტის წმ. გიორგის (IX-X სს) ეკლესიები.

ხაშური – რაიონული დაქვემდებარების ქალაქი. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე. მდ. სურამულას ნაპირებზე, მტკვრის მარცხენა მხარეს. ზ.დ. 700 მ. თბილისიდან დაშორებულია 120კმ-ით (რკინიგზით).

ხაშურის, როგორც ქალაქისა და რაიონული ცენტრის ზრდასა და განვითარებას მისმა მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ შეუწყო ხელი. იგი ქვეყნის ცენტრში - აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს გზასაყარზე, მდებარეობს. ხაშურზე გადის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, რომლითაც ქვეყნის ნებისმიერ მხარესთან შეიძლება დაკავშირება.

ხაშურში საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის განვითარებას XIX ს-ის 70-იანი წლებიდან ეყრება საფუძველი. XX საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით,

(გაგრძელება V გვერდზე)

ქალთა ფორუმის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია

თბილისში, საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მე-6 ყოველწლიური კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ფორუმის 150 წევრი დაესწრო. კონფერენციის მონაწილეებმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობაში ადგილობრივ დონეზე ქალების მონაწილეობის გაზრდის გზები განიხილეს. მონაწილეების თქმით, მუნიციპალური სერვისები მეტად უნდა იყოს მორგებული ქალების საჭიროებებზე, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა სკოლამდელი განათლებისა და ბავშვზე ზრუნვის სისტემის გაუმჯობესება, პროფესიული განათლებისა და გადამზადების განვითარება და ქალების ხელშეწყობა შრომის ბაზარზე წარმატების მიღწევაში.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაცია (MSPA), გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და ავსტრიის, დანიის, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების ფინანსური ხელშეწყობით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს წევრმა ქალებმა საქართველოს ყველა რეგიონიდან. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ საქართველოს მთავრობის, პარლამენტის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მაღალი რანგის ქართველმა და უცხოელმა გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს ფორუმის საკვანძო მნიშვნელობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა როლის გაზრდისთვის. მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობაში მეტი აქტიურობისკენ მოუწოდეს საქართველოს ქალებს და გამოთქვეს იმედი, რომ საქართველო მიაღწევს გენდერულ თანასწორობას მმართველობის ყველა დონეზე.

"ქალების ხმა სულ უფრო ხმამაღლა ისმის საქართველოს პოლიტიკაში", – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ. "საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმი მნიშვნელოვანი პლატფორმაა, რომელიც ხელს უწყობს ქალთა როლის გაზრდას ადგილობრივ თვითმმართველობაში და გენდერული თანასწორობის მიღწევას გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე".

"ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება საკვანძო საკითხია როგორც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის, ასევე, თანაბარი ეკონომიკური განვითარებისთვის, რომლის მიღმა არავინ უნდა დარჩეს", – განაცხადა ულრიკ თიდესტრომმა, შვედეთის ელჩმა საქართველოსა და სომხეთში.

"ყველამ ვიცით, რომ ქალები სათანადოდ ვერ იყენებენ თავის პოტენციალს როგორც საქართველოში, ასევე, ბევრ სხვა ქვეყანაში. ეს ვითარება სხვადასხვა სფეროში შეიმჩნევა, როგორც ოჯახებში, ასევე, კერძო სექტორსა და ადგილობრივ თუ ეროვნულ პოლიტიკაში", – აღნიშნა დანიელ მევლიმ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა. "შვეიცარია მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს გენდერული თანასწორობის მიღწევაში და ქალთა როლის გაძლიერებაში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებისა და ეკონომიკის მდგრად განვითარებას".

კონფერენციის მონაწილეებს, ასევე, მიმართეს არად ბენკომ, ავსტრიის ელჩმა საქართველოში, და ელიზაბეტ რუდმა, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში.

ქალების დაბალი წარმომადგენლობა პოლიტიკაში საქართველოს ჯერაც გადაუწყვეტელი პრობლემაა. ქალთა წარმომადგენლობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 13 პროცენტს არ აღემატება. 64 არჩეული მერიდან მხოლოდ ერთია ქალი. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ოდნავ გაიზარდა ქალი პარლამენტარების რიცხვი, მაგრამ 15 პროცენტს ეს მონაცემიც არ გასცდენია.

საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმი, რომელიც 2013 წელს შვედეთის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით შეიქმნა, ერთერთი მექანიზმია საქართველოს ქალების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდისთვის.

"აუცილებელია, რომ საზოგადოებამ გაიგონოს და გაითვალისწინოს ქალების ხმა, მაგრამ ეს არა მხოლოდ სამართლიანობის დაცვას მოითხოვს", – განაცხადა ლუიზა ვინტონმა, UNDP-ის ხელმძღვანელმა საქართველოში. "საჭიროა ისეთი სახელმწიფო სერვისების განვითარება, რომლებიც ყველას საჭიროებებზე იქნება მორგებული, ასევე აუცილებელია მოსახლეობის ყველა წარმომადგენლის ენერგიისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების გათავისუფლება. საქართველო სრულად გამოიყენებს თავის პოტენციალს, თუ ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობები უზრუნველყოფილი იქნება მისი ყველა მოქალაქისთვის".

საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მე-6 კონფერენციის მონაწილეებმა ქვეყნის რეგიონებში არსებული ეკონომიკური და საგანმანათლებლო შესაძლებლობები და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები განიხილეს. ასევე, იმსჯელეს პროფესიულ განათლებასა და გადამზადებაზე, სკოლამდელ განათლებაზე და ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობაზე.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა ისაუბრეს დეცენტრალიზაციის რეფორმის ძირითად მიმართულებებზე და ამ ძირეული გარდაქმნის მნიშვნელობაზე მმართველობის ყველა დონეზე გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში.

ხაშურის მუნიციპალიტეტიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირინე გელაშვილი, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ანა ხარებავა, ფრაქცია „ევროპული საქართველო-ლეიბორიტების" თავმჯდომარის მოადგილე ნატო კიკაძე, საკრებულოს წევრები: მაყვალა მაისურაძე და ელზა კიკაძე.

სოფელ ბეკამსა და გვერდისუბნის დასახლებებში, გზების მოასფალტების სამუშაოების პროექტი ხორციელდება

9 სექტემბერს, ადგილზე იმყოფებოდნენ და სამუშაოების მიმდინარეობას ეცნობოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და მისი ჯამური ღირებულება 960 555 ლარს შეადგენს.

სურამსა და გვერდისუბანში, მოასფალტებული გზებით, 1500- ზე მეტი ადგილობრივი და დამსვენებელი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტების სამუშაოები აქტიურად გრძელდება

ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ადგილზე მოინახულეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილმა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სერგო ლალიაშვილმა.

მათი განმარტებით, პროექტი ორწლიანია, თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 2 947 999 ლარს შეადგენს.

სოფელ მცხეთიჯვრიდან წაღვლამდე გზის მოასფალტების პროექტი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებს საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუუმჯობესდებათ. პროექტის ფარგლებში, 3 კილომეტრნახევრიანი ასფალტის საფარი დაიგება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება)

20-30-იანი წლებიდან, აქ საქალაქო მეურნეობა სწრაფად წავიდა წინ, რამაც ხელი შეუწყო ხაშურის გადაქცევას რაიონულ ცენტრად. მისი უბნები გახდნენ წარსულში ცნობილი სოფლები შინდარა, გორათი და ზემო ჭალა.

ხაშური ისტორიულ სურამის ჭალაში, მდ. სურამულას სანაპიროზე, საკუთრივ ხაშურის ჭალაში მდებარეობს.

სულხან-საბა ორბელიანი სიტყვა „ხაშურს" ასეთ განმარტებას აძლევს: „მლაშე წყლის მარილი, გინა, რაც წყლის და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა: შაბი, ბავრუკი, გვარჯილა და მისთანანი, მათ ნიშანს ეწოდების".

ხაშურს ასეთივე მნიშვნელობით განმარტავენ იოანე ბატონიშვილი, ნიკო ჩუბინაშვილი და სხვა ლექსიკოგრაფები. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონშიც" ასევეა ახსნილი ეს სიტყვა.

ამრიგად, ხაშური მლაშე წყლის ან ტბის აორთქლების, დაშრობის შედეგად დარჩენილ მარილს ჰქვია. აგრეთვე, მლაშე, მარილიან მიწას. ამრიგად, თვისებიდან გამომდინარე, ხაშური შეიძლება ერქვას იმ ადგილსა თუ ტერიტორიას, სადაც წყლები და ნიადაგი მლაშეა.

ასეთი თვისების მატარებელი ადგილები ხაშურს ჩრდილოეთის მხრიდან აკრავს, ე.წ. ზემო სერის სახით, რომელსაც კაკალათხევის სერსაც უწოდებენ. მისი მიდამოები, მათ შორის საკუთრივ ქალაქის ტერიტორია, ცნობილია მლაშე წყლებით, თვით ნიადაგიც მარილიანია. აქვე მოედინება ცნობილი „ღარიბა-ღელე", რომლის წყალიც მარილიანი და მლაშეა. სწორედ ამის გამო, როგორც ჩანს, ჯერ ამ მიდამოებს, ხოლო შემდეგ დასახლებულ ადგილსაც შეერქვა ხაშური.

საყურადღებოა, რომ სპარსულ ენაში არის სიტყვა „ხაქეშურ" - ი, რომელიც ძალიან წააგავს ქართულ ხაშურს და ითარგმნება, როგორც მლაშე მიწა. „ხაქე" - ს მნიშვნელობა ლექსიკოლოგ მ.ღაფარეკის მიხედვით, არის გვამი, მტვერი, ნაგავი, ნიადაგი, მიწა, ქვეყანა, საფლავი, ხოლო „შურ" - ის მლაშე, გადამლაშებული, მღელვარება, სიფიცხე, არეულობა.

უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსული „ხაქეშური" და ქართული „ხაშური" ერთმანეთის იდენტური და ერთი შინაარსის მატარებელია. ქართულ - სპარსული სამყაროს სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ ეს სიტყვა ქართულში სპარსულიდან შემოვიდა და დამკვიდრდა, მაგრამ აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხაშურის სახელწოდებით ცნობილი დასახლებული ადგილებია (ქალაქებია) ბასკეთში (ესპანეთი), კაბადოკიაში (თურქეთი) და სხვაგან. ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ძველი შუმერული სამყარო იცნობს ხაშურის სახელწოდებით მთიანეთს.

ხაშური პირველად 1693 წლის დოკუმენტში გვხვდება. დედოფალი ელენე მამულების წყალობის სიგელს უახლებს და ხელმეორედ უმტკიცებს აბაზაძის გვარს. ამ მამულებს შორისაა დასახელებული „ხაშურს ჩაჩანიძისეული მამული", რომელიც აბაზაძეების გვარს მანამდე ჰქონდა სამეფო კარისაგან წყალობის სახით მიღებული.

ერეკლე პირველის (ნაზარალიხანი) 1700 წლის ბრძანებით ხაშურლებსა და გორათელებს ეკრძალებოდათ სურამლების დაუკითხავად მათი მამულების მოხვნა, დათესვა და მითვისება.

რუისის სამწყსოს 1715 წელს დავთრის მიხედვით, აქ 15 კომლი ცხოვრობს (ბექუტაშვილი, ოღძელი, გივიშვილი (2), ქუზიაშვილი, აქიმაშვილი, ალექსიშვილი, ინდიშვილი (2), შოშიტაშვილი, აბიაშვილი (2), მალიძე...

1724 წელს ელიზბარ აიდანაშვილს „ხაშურის ბოლოს" ახალდაბელი გაბრიელ ქიმერიძისთვის მიუყიდია მიწა. ასე უნდა ჩაყროდა საფუძველი დღევანდელ ქიმერიძეების უბანს ხაშურში.

1728 წელს თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში ნათქვამია, რომ „სოფელი ხაშური ახლოსაა სოფელ გორათთან". აქ დაფიქსირებულია 15 კომლი მოსახლე. მიწაზე გადასახდი შეადგენს 50 ახჩას, ველზე კი - 20 ახჩას. დანარჩენი გადასახადებია: ისფინჯი კაცი 15, ახჩა 1800; ხორბალი ქილა 100, ახჩა 2000; ქერი ქილა 60, ახჩა 900; ჭვავი ქილა 20, ახჩა 300; ფეტვი ქილა 30, ახჩა 450; უშრის გადასახადი ვენახზე დონუმი 40, თითოეულზე 40, ახჩა 160; გადასახადი ერბოზე 120; გადასახადი სკაზე 90; გადასახადი ცხვარზე 150; არუსენას გადასახადი 120; დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 90; გადასახადი ღორზე 90; წისქვილი თვალი 1 სრული წლით, გადასახადი 120. ჯამი 8020 ახჩა.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს ხაშურს. იგი აღნიშნავს: „ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამის-წყალს ქემერტის-წყალი, აღმოსავლიდამ". ასევე აქვს დატანილი ხაშური რუკაზეც.

იოანე ბატონიშვილი თავის „აღწერაში" ხაშურს აფიქსირებს როგორც მოსახლე სოფელს, ხოლო „კალმასობაში" „საშუალო სოფელს" უწოდებს.

ხაშურში მამულები ეკუთვნოდათ ხიდირბეგიშვილებს, მურვანიშვილებს და სხვებს.

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ხაშური უკვე არაერთ დოკუმენტშია მოხსენებული.

XIX ს-ის პირველ ნახევარში ხაშური მხარის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ნაკლებ როლს თამაშობს, შეიძლება ითქვას, რომ ეს როლი შეუმჩნეველიც კია. იგი სოფელ ზემო ჭალის სასოფლო საზოგადოებაში შედის.

1865 წლის აღწერით, აქ 45 კომლი მოსახლეა, რომელშიც სახელმწიფო გლეხია 26, ხოლო საეკლესიო – 2, დანარჩენი – 17 დროებით ვალდებულია.

XIX ს-ის 70-იანი წლებიდან ხაშური სწრაფად წინაურდება. აქ 1872 წელს გავიდა ფოთი-თბილისის რკინიგზა, აიგო რკინიგზის მთავარი სახელოსნოები. სწრაფი ტემპით განვითარდა ვაჭრობა. სურამის სარკინიგზო გვირაბის გაყვანის შემდეგ ხაშური ქალაქური ტიპის დასახლებად გადაიქცა. გაიზარდა მოსახლეობაც.

1886 წელს აქ უკვე 442 კომლი მოსახლეა. თუ მანამდე მოსახლეობა, ეროვნული თვალსაზრისით, ერთფეროვანი იყო, ახლა აქ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებიც სახლობენ: რუსები, სომხები, გერმანელები და სხვა.

1872 წლიდან ხაშურს, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძის კავკასიაში მოღვაწეობის 10 წლისთავის აღსანიშნავად „მიხაილოვო" ეწოდა. 1918 წლიდან მას კვლავ ხაშური, ხოლო 1928-1934 წლებში „სტალინისი" ჰქვია. შემდეგ კვლავ – ხაშური.

1917 წლიდან ხაშური ქალაქია.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები ახალ სასწავლო წელს სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ

16 სექტემბერს, ახალი სასწავლო წელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებშიც დაიწყო. ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღების გაერთიანებაში ძალ-ღონეს არ იშურებენ ჯანსაღი სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს სააღმზრდელო დაწესებულებებში. როგორც ჩვენი გაზეთის ნომრებიდან შეიტყეთ ბაღების გაერთიანებას, აგვისტოს თვიდან, თათია ბროლიძე ხელმძღვანელობს, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე, რათა ბაღებში მიმდინარე პროცესებზე ჩვენთვის მოეთხრო. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახალი, მოტივირებული და ენთუზიასტი მმართველის პირობებში, საბავშო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი უფრო გაუმჯობესდება და ინფრასტრუქტურაც მთლიანად მიუახლოვდება ევროპულს.

თათია ბროლიძე: - პირველ რიგში, მინდა, ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცეთ ჩვენს პატარებს, მათ მშობლებს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომლებს. ეუსურებ მათ წარმატებულ მოღვაწეობას. რაც შეეხება მიზანს, როგორც მმართველის, არის თანამედროვე და ინოვაციური გარემოს შექმნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, აგრეთვე, უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა, ჩვენი მთავარი მიზანია ბავშვები მოვამზადოთ სკოლებისთვის, საფუძველი ჩავუყაროთ სამომავლოდ მაღალიღირებულებების მქონე პიროვნებების ჩამოყალიბებას.

- რამდენი ბაღი იწყებს ფუნქციონირებას ახალი სასწავლო წლიდან და რამდენი აღსაზრდელით?

– ახალი სასწავლო წლიდან, 18 საბავშვო ბაღი იწყებს ფუნქციონირებას, მათ შორისაა, სამი რეაბილიტიებული ბაღი: სატივის, ტეზრის და შუშის ქარხნის. მიმდინარე პერიოდში დარეგისტრირებულია, დაახლოებით, 2015 აღსაზრდელი.

- როგორც აღნიშნეთ, სამი უახლესი ბაღი დაიწყებს ფუნქციონირებას, მოგვიყევით უფრო ვრცლად მათ შესახებ.

– სიამოვნებით. სოფელ ტეზერში საბავშო ბაღი ათწლეულია არ ყოფილა, ფუნქციონირებდა მხოლოდ ალტერნატიული სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც, რა თქმა უნდა, ოჯახებისთვის დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ადგილობრივთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიძინა ფართი და თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენდა უახლესი საბავშვო ბაღი, რომლიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ჯამური ღირებულება კი - 95 998 ლარია. ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, აგრეთვე, შუშის ქარხნის დასახლებაში. ახალი სასწავლო წლიდან, საკმაოდ მჭიდრო დასახლებას, ახალი საბავშვო ბაღი ექნება. აღნიშნული მშენებლობის პროექტი თანადაფინანსებით განხორციელდა და 533 000 ლარი შეადგინა. საბავშო ბაღი გაიხსნა აგრეთვე, დიდ სატივეში, რომლის ბიუჯეტი 44 133 ათასი ლარია, მისი მშენებლობაც ადგილობრივი ბიუჯეტითა და სოფლის განვითარების პროექტით განხორციელდა. აქვე, ვისარგებლებ შემთხვევით და მივმართავ გომის საბავშო ბაღის აღსაზრდელთა მშობლებს, რომ 1 ოქტომბრამდე, რემონტის გამო, გადაიდება სასწავლო პროცესი.

- კვება ბაღებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად ჯანსაღი პროდუქტებით მარაგდება ბაღები?

– საბავშვო ბაღებში, ცხადია, ხარისხიანი პროდუქტების მიწოდება ხდება. ჩვენი მხრიდან, მუდამ გაკონტროლდება ეს საკითხი და დავამკვიდრებთ უმაღლეს სტანდარტს. რაც შეეხება ტენდერს გამარჯვებულებს, ესენია: ბაღებს ხორცპორუქტებით მოამარაგებს შპს „ჯეო-ფუდი" და პურზე – შპს „ოშხნელი და ვაჟები", დანარჩენ პროდუქტებზე –ი/მ მამუკა ჭადაშვილი.

- რამდენად კვალიფიციური კადრები მუშაობენ საბავშო ბაღებში?

– მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ კვალიფიციური კადრები გვყავს, სააღმზრდელო დაწესებულებებში. კადრებს გავლილი აქვთ შემდეგი ტრენინგები: ყველა აღმზრდელს – „სკოლამდელი ღირებულებების მართვა და თანამედროვე სტანდარტები," აგრეთვე „სკოლისათვის მზაობის პროგრამის ანალიზი და სტანდარტები", ექთნებმა და მზარეულებმა გაიარეს „ჯანსაღი კვების ორგანიზება სკოლამდელ დაწესებულებებში", ყველა მეთოდისტმა გაიარა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული". მეთოდისტებმა თბილისში გაიარეს ტრენინგ-კურსები ყველა დანარჩენმა კი – ადგილობრივად.

თ. ახალკაცი

სურათზე: ტეზერში ახალი საბავშვო ბაღის გახსნა აღსაზრდელებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის სკოლებში 645 პირველკლასელი დაიწყებს სწავლას

ლამაზები, ლაღები, ბედნიერები, მხიარულები... უყურებ ამ პატარებს და მათთან ერთად შენც გიხარია. ქვეცნობიერად გადადიხარ წლების იქით და მათსავით პატარა ხდები. მინდა ყველას მოეფერო, განსაკუთრებით კი პირველ მასწავლებელს, რომელიც ყველაზე მაგარ, ყველაზე მცოდნედ მიგაჩნია და სულ მის გვერდით გინდა ყოფნა. თუმცა, რატომ მიგაჩნია? ასეცაა და ამ აქსიომას ვერაფერი შეცვლის. ის, დედიკოს შემდეგ, ყველაზე თბილი, ყველაზე ახლობელი ხდება პირველი წუთიდანვე და ძალიან დაცულად და ბედნიერად გრძნობ თავს მის გვერდით...

და იხსნება მათთვის ცოდნის კარი. კი, ჯერ თამაში ურჩევნიათ სწავლას, ჰოდა სასწავლო პროცესიც ისეა აგებული, თამაშ-თამაშით მიიწევენ წინ და ძალიან ბედნიერები არიან, როცა ამ თამაშში მათი პირველი მასწავლებლებიც არიან ჩართულნი.'

645 ახალწვეული ჰყავს ჩვენს სკოლებს, რომლებმაც პირველად შეაღეს სკოლის კარი. თითოეულ მათგანს პორტაბელური კომპიუტერი გადაეცა და სახელმძღვანელოებიც დაურიგდათ.

წარმატებები ამ ბავშვებს და იმედია, მათგან ბევრი იქნება ისეთი, რომლის სახელიც მთელ ქვეყანას ეცოდინება.

სურათზე: ხაშურის პირველი საჯარო სკოლის პირველკლასელები.

- ქვიშის ჭიდაობა -

ლევან ქელეხსაშვილი მსოფლიო სერიის გამარჯვებულია



ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღზრდილი ლევან ქელეხსაშვილი (70 კგ) ქვიშის ჭიდაობაში მსოფლიოს სერიის ფინალური ეტაპის გამარჯვებული გახდა. ქართველმა ფალავანმა ოქროს მედლისათვის შეხვედრაში უკრაინელი რადულოვი 4-2 დაამარცხა, მანამდე კი სერბ დუკანოვიჩს, უკრაინელ იეშენკოს და ამერიკელ პეტერსს ერთნაირი ანგარიშით 3-0 მოუგო.

ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრი იწყებს მოსწავლეთა რეგისტრაციას

ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრი იწყებს მოსწავლეთა რეგისტრაციას მიმდინარე წლის 16 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე10.00 საათიდან 17.00 საათამდე შემდეგ წრეებზე:

ვოკალური მუსიკა;
კლასიკური და პოპულარული მუსიკა;
ქართული ცეკვა;
ხატვა;
რელიგია და ისტორიული ძეგლები;
ტექნიკური და ზოგადი უნარები;
უცხო ენა (ინგლისური);
მკითხველთა კლუბი;
ხალხური რეწვა (თექა);
ხალხური რეწვა (ქარგვა);
გიტარა;
მხატვრული კითხვის და ნორჩ შემოწმედთა წრე..

რეგისტრაციისთვის წარმოადგინეთ შემდეგი დოკუმენტები:

განცხადება (შეივსება ადგილზე)
მოსწავლის დაბადების მოწმობა (ასლი)
მშობლის პირადობის მოწმობის (ასლი)

მისამართი: კოსტავას ქ.#11 ტ: 24 28 57

- სამბო -

დიმიტრი მულაძე მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე იასპარეზებს

ამ დღეებში, გაიმართა არჩილ ჩოხელის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა სამბოში, სადაც ბრწყინვალედ იასპარეზა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხაშურის განყოფილების მეხანძრე-მაშველმა დიმიტრი მულაძემ, რომელმაც 52 კილოგრამ წონით გატეგორიაში ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონი გახდა. აღსანიშნავია, რომ იგი, უახლოეს მომავალში, მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე გამოვა. იმედია, არც აქ შეირცხვენს თავს და ხაშურის საჭიდაო სკოლის ტრადიციებს ღირსეულად გააგრძელებს.

წარმატებები დიმიტრის!

სტუდენტთა საყურადღებოდ!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ სტუდენტების დაჯილდოებას, რომლებმაც 2019 წელს წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიიღეს 100%-იანი გრანტი (არ იგულისხმება უფასო ფაკულტეტები და ჩაბარების შემდგომ მოპოვებული შიდა გრანტი).

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი; შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა 100%იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შესახებ; საბანკო ანგარიშის ნომერი.

საკონტაქტო პირი: ნინო ღონღაძე
ტელ: 577951784 (0368)24 24 56
დოკუმენტაცია მიიღება მიმდინარე წლის 23 სექტემბრის ჩათვლით.

მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური

D იყიდება სახლი

ხაშურში (თაყაიშვილის ქ. №9 – ყოფილი ტელმანის ქუჩა, მესამე საჯარო სკოლის გვერდით) იყიდება ორსართულიანი სახლი ეზოთი და ყველანაირი სათავსოთი. ფასი შეთანხმებით. T 593-16- 90-48 (ლია).

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.